ასეთია დასკვნანი ჩვენი თეატრის გასული წლის მოღვაწეობით გამოწვეული. ფაქტიური ვითარება შემდეგი გახლავთ. საქართველოს ტერიტორიაზე სამი მუდმივი დასი მუშაობს: ერთი ტფილისში ფაქტიური ანტრეპრიზით, ფაქტიურათ უზრუნველყოფილი და სხვათა შორის ამიტომაც ყოველგვარ შემომქმედებით მუშაობას მოკლებული, რაც ერთხელ ჩვენმა გეზეთმა აღნიშნა კიდეც. მეორე—ქუთაისში—ანტრეპრიზა დრამატ. საზოგადოებისა. იქ თავიდან რიგიანათ წარმოებული საქმე (3 წარმოდგენა კვირაში სისტემატიურათ. დამსწრეთა რიცხვი საშუალოთ 500—600 კაცი. შემოსავალი ერთი—მეორეზე ათასი მანეთი თითო თითო წარმოდგენიდან) დეკემბერში შეფერხდა მსახიობთა კავშირის უკანონო ნაბიჯის წყალობით (კავშირმა მოანდომა დაბეგვრა 5% შემოსავლისა ქუთ. დრამ. საზოგადოებისა და როდესაც ასეთი ბეგარა დრამატ. საზ—ბამ პრინციპიალურად მიუღებლად ჩასთვალა და საქმე განჩინებისათვის ეროვნულ საბჭოს გადასცა—კავშირი არ დაეშორჩილა ამას და თავისი წევრები დასიდან გამოიწვია, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი პირობის ძალით მოვალენი (ერთ წლის ბოლომდი ემსახურნათ) ეს-ამე დასი ბათუმშია. ანტრეპრიზა—მუშათა და საღდათთა საბჭოსი. ამ დასის მუშაობა იმითია აღსანიშნავი, რომ იქ „რეჟისურას ეწევა" ყოფილი სცენარიუსი ქუთაისის თეატრისა ალ. გუგუშვილი და ასაღებს ყოველგვარ პიესას, რომელიც კი ხელთ ძოხვდებათ.

არც ერთი ახალი, ცოცხალი ინტელიგენტური ძალა ჩვენს სცენას არ ეკარება, თითქოს ჭირიანი იყოს იგი და იქ შესვლა სახიფათო. ერთი გასამართლებელი საბუთი კი აქვთ—ძველი იმ ატმოსფერაში სუნთქვა, რომელიც რუსეთის გამახადგუთებელმა რევოლუციამაც ვერ გაფანტა მთელი გასული წლის განმავლობაში.

ჩვენი თეატრის ერთ წერტილზე გაყინვა დამწუხრებულნი საყვედურით ვესტუმრები ამ დარგში გასულ წელს, მაგრამ მასვე მადლობა არ შეგვიძლია არ ვუძღვნათ იმისათვის, რომ აუარებელი ხალხი კარს მიაყენა ჩვენს თეატრს და ეს მაინც არის იმედი იმისა რომ შესაძლებელი გახდება განახლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგისა ჩვენი ცხოვრების—თეატრის: სასცენო ხელოვნებისა. ამ იმედით ვეგებებით ახალ წელს, იგი გახთავისუფლებულ საქართველოს განთავისუფლებულ ხელოვნებასაც მოუვლენს.

აკაკი ფალავა.

1917 წელი კახეთში

1917 წელი რამდენადაც შესანიშნავია პოლიტიკურად—რევოლიუციის მოხდენით და მშრომელ ხალხის მძიმე უღლიდგან განთავისუფლებით, იმდენად ეკონომიურად სულთამხუთავად მოეკვლინა გასული წელი და ლამის არის პირველის ბედნიერება შთანთქას მეორის უბედურებამ.

1917 წელს კახეთი ეკონომიურად დაქვეითებული და მთლად დაძაბუნებული დახვდა, საშინელმა ომმა და უზომოდ გაწვევამ ბრძოლის ველზე სოფელი სულ დაცარიელა მუშა ხელისაგან. შინ რაც საგძალი ჰქონდა, ელევოდა და გარედ არაფერი ჰქონდა დაგულებულ-დათესილი, ან ვინ დაჰთეს—დაფარცხავდა, როცა სოფელი მარტო მოხუცებულების და ქალების ამარა დარჩა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თუმცა სანგარიშო წელს პურის მოსავალი გვარიანი იყო, მაგრამ მეოთხედი მიწებისა არ მოხნულა და რაც დათესილი არ იყო, რა მოვიდოდა. გარედან შემოტანის იმედი მოისპო და ამიტომ კალოობას თუ კოდი (3 ფუთი) ხორბალი 50 მან. იყიდებოდა, მალე 100 მან. გახდა, ხოლო შემდეგ 170 მან. ავიდა და ამ ფასშიც არ არის პურის შოვნა. სოფელი დაიშშა, ნამეტნავად ჯარისკაცთა და უხარო ოჯახები და თუ ორიოდ გროშს იღებენ ღვინის გაყიდვით, სულ პურის გზაზე ტრობენ.

გასულ წელს ღვინის მოსავალს ვერ დავიწყურებით, სეტყვამაც შეგვიბრალა და აგვცილდა და ღვინოც გოლვის მიზეზით მეტად კარგი თვისებისა დადგა. იმ თავიდანვე ღვინო კარგ ფასებში იყიდება, წინედ 500—600 მან. ხოლო ეხლა 60—80 მან. საპალნე მაგრამ რა რჩება მევენახეს?

თუ მივიღებთ შემუშავების სიძვირეს და აგრეთვე მას, რომ წინანდელი 100 მანეთი ერჩივნა ეხლანდელ 1000 მანეთს, როცა კოდ პურში 150 მან. აძლევს, ქალმებში 8—10 მან. და არშინი ჩითი 5 მანეთათაც ვერ უშოვნია. რასაკვირველია, თუ ამ გარემოებებს მივიღებთ მხედველობაში, გადაჭარბებული კი არა, ტყუილია ზოგიერთების აზრი, ვითომ სოფელი ფულით აივსო და ცხოვრების კეთილდღეობაში სცურავს...

ხალხის სიდუხჭირეს ზედ დაერთო საქონლის ჭირიც. თითქმის სოფელი არა ყოფილა, რომ საქონელი არ ჯაენახევრებინოს და გლეხიკაცისთვის მარჯვენა ხელი არ გამოეცალებინოს. მუშაობის გარდა საქონლის ზარალი დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს სოფლის მეურნეობისთვის, მერე ეხლა, როცა ხარი 500—800 მ. ფასობს, ხოლო კამეჩი 800—1000 მახეთი.

კახეთის პრიმიტიულ მეურნეობისათვის საქონელს დიდი მნიშვნელობა აქვს. სახნავ-სათესს, სამკალ-სალეწ და სხვა მანქანებს კახეთი მოკლებულია, სულ ხელით და საქონლით უხდებათ მუშაობა და ამისთანა გარემოებაში გლეხიკაცი ვერ ასდის სამუშაოს და ჭირნახულიც ნაკლები მოჰყავს. 1917 წ. უარესად დასცა კახეთი ეკონომიურად, მეურნეობა დაირღვა, კულტურული მუშაობის ნასახიც არსადა სჩანს.

მართალია 1917 წელმა მიუძღვნა ახალ 1918 წელს პოლიტიკური ბედნიერება, მაგრამ მასთან მან უანდერძა სილარიბე, სიმშილი და სიდუხჭირე, მაგრამ კახელი გლეხიკაცი მაინც გულს არ იტეხს, ის მომავალში ჰხედავს ბედნიერებას და ამისთვის ახალწლის ღამეს ბუხარში ვეებნრთელა მუჯუჯალს ჭიჩიჩინებს და მრავალად აყრილ ნაპერწკლებთან ერთად მოელის ამდენ ბედნიერებას, სიცოცხლეს, სიმშოელეს, ამდენ შეძლებას, საპალნე ღვინოს, ამდენ კოდ პურს, საქონელს, საკლავ-სახნავებს და სხვა და სხვ...

დავიწყებული

დაწესებულებათა ნაციონალიზაცია

(მცირე შენიშვნა თელავიდან)

როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული საქართველოს ეროვნულ საბჭოს გაუგზავნია სამაზრო და სარაიონო კომისარებისათვის შეკითხვა, შეიძლება თუ არა დაუყონებლივ ქართულ ენაზე წარმოების შემოღება სამაზრო და სარაიონო კანცელარიებშიო,

ამ შეკითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი უნდა იყოს. არა თუ შეიძლება, არამედ საჭიროებას შეადგენს, სოფლის, სარაიონო და სამაზრო კანცელარიებში დაუყონებლივ შემოღებულ იქნნას ქართულ ენაზე საქმის წარმოება, ხოლო შემდეგ ნაციონალიზაცია უნდა გავრცელდეს სხვა სამაზრო დაწესებულებებზედაც,

მოხდა ძლევა-მოსილი რევოლიუცია სოფელი განთავისუფლდა ძველი რეჟიმის სტრეჟნიკ-პრისტავებისაგან, ხოლო მათი აჩრდილი ისევ დარჩა,—ეს სოფლის კანცელარები, სადაც ზოგჯერ-კიდევ ისევ უცხო ენაზე მიდის მიწერილობანი, რომლის თავი და ბოლო არავის გაეგება და სოფელი იძულებულია ისევ რუსულის მცოდნე მწერლები დაიქირავოს, რომლებიც წინანდელივით იქნებიან სოფლის ბედის გამგებელნი. ამას გარდა სოფელს დიდი ხარჯიც მოსდის, რადგანაც ასეთი პირი გარედამ უნდა მიიწვიონ და თუ არა კარგი ჯამაგირით, არავინ მიდის.

სულ სხვა იქნება სარაიონო სამაზრო კანცელათიების ნაციონალიზაციის შედეგი, როცა მიწერ-მოწერა მხოლოდ სამშობლო ენაზე იქნება და მხოლოდ ამ შემთხვევაში [illegible] კანცელარიებს ის ბევრი ბუნული, რომლითაც [illegible] მწარმოებელნი ხომ ყველა სოფელში მოიპოვებიან, ქართული წერა-კითხვის, კარგი მცოდნენი და მეტი ხარჯიც თავიდან ასცდებათ.

საჭიროა რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ზემო ნათქვამი ნაციონალიზაცია, რომელიც დაიწყება სოფლის კანცელარიიდან, გადავა ეხლავე სარაიონო-სამაზრო კომისარიატებზე, ხოლო შემდეგ უნდა გავრცელდეს სხვა სამაზრო დაწესებულებებზედაც, რათა მცხოვრებთ შეეძლოთ სხვისა დაუხმარებლად თავის სამშობლო ენაზე აწარმოონ თავიანთი საქმეები.

დ—ლი.

სამკიმრის დეკეშები და წერილები

ცხინვალი. ცხინვალის სოც.-ფედ. კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სამშობლოს სინიდისის და უფლების საუკეთესო დამცველის კიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო, პარტიამ მასში დაკარგა გამოჩენილი ბელადი და იდეური მებრძოლი. ქართულმა ხელოვნებამ კი შესანიშნავი კრიტიკოსი და ლიტერატორი.

კომიტეტის მონდობილობით
გიორგი ბახიშვილი.

—

შორაპანი. უერთდებით საერთო მგლოვიარების ხმას დიად პირის კიტას დაკარგვის გამო.

საჩხერის ეროვნულ-დემოკრატების ორგანიზაციის მონდობილებით **გლად. წერეთელი.**

—

სარაყამიში. ძვირფას კიტას უდროოდ დაკარგვამ ძალიან დაგვამწუხრა. სასტიკია ბედისწერა, რომელმაც წარიტაცა საუკეთესო მებრძოლი საქართველოს თავისუფლებისთვის.

ამხანაგთა მონდობილობით
ვარაზაშვილი.

—

ეროვნულმა საბჭომ თავრიზიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: თავრიზის მუსულმანთა და სომეხთა საკოლონიო კომიტეტი ღრმად დამწუხრებულია ქართველობასთან ერთად სამშობლოს თავისუფლებისათვის ტანჯულ კიტა აბაშიძის უდროოდ გარდაცვალების გამო. დანაკლისი ერისა დიდია, მაგრამ ქართველობის სულის სიმტკიცე ამ წუხარებასაც აიტანს. თავმჯდომარე საკოლონი კომიტეტისა **მანაეკოვი.**

—

შორაპანი. უერთდებით საერთო მგლოვიარების ხმას დიად პირის კიტას დაკარგვის გამო.

საჩხერის ეროვნულ-დემოკრატების ორგანიზაციის მონდობილებით **გლად. წერეთელი.**

—

სარაყამიში. ძვირფას კიტას უდროოდ დაკარგვამ ძალიან დაგვამწუხრა. სასტიკია ბედისწერა, რომელმაც წარიტაცა საუკეთესო მებრძოლი საქართველოს თავისუფლებისთვის.

ამხანაგთა მონდობილობით
ვარაზაშვილი.

—

ეროვნულმა საბჭომ თავრიზიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: თავრიზის მუსულმანთა და სომეხთა საკოლონიო კომიტეტი ღრმად დამწუხრებულია ქართველობასთან ერთად სამშობლოს თავისუფლებისათვის ტანჯულ კიტა აბაშიძის უდროოდ გარდაცვალების გამო. დანაკლისი ერისა დიდია, მაგრამ ქართველობის სულის სიმტკიცე ამ წუხარებასაც აიტანს. თავმჯდომარე საკოლონი კომიტეტისა **მანაეკოვი.**

—

რუსეთის რევოლიუცია და ძველი მმართველობა.

— „ა-ება, გთხოვთ ფცხზე ადგომით პატივი სცეთ ტრაღიკულად გარდაცვალებულ „ეოროდოვოების" ხსოვნასო, აი როგორი დემონსტრატიული წინადადება შეაქვს კომიკ მემარჯვენეს. დეპუტატი შულგინი კი მემარცხენეთ ეკითხება: „ჯიბით ყუმბარები ხომ არ მოგიტანიათო". მეორე კრებაზე კი ისტერიულად ჰყვის: „თუ ასე გაგრძელდა რუსეთის იმპერიის ცხოვრება, რუსეთი თავის საუკეთესო შვილებს ნახავს პოლიციელთა რიგში, თვით მეცჯო". მაგრამ ეს მუქარა ფორმალური იყო, რადგან არსებითად არამც თუ ის, არამედ მემარჯვენეთა მთელი ფრაქცია პოლიციური აგენტურა უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკოსთა კრებული. და აკი სტოლიპინიც ზურგს უმაგრებდა მათ თავისი ავტორიტეტით: —„ამას იქით პოლიცია ისევე იმოქმედებს, როგორც აქამდე მოქმედებდაო". 3 ივნისს ბრძანებით კი სათათბირო დახურულ იქმნა, რადგან იქ, როგორც ამბობდა მეფის მანიფესტი „მოხდა ჯერ არ გაგონილი რამ. სამოსამართლო მთავრობამ აღმოაჩინა შეთქმულება სათათბიროს ნაწილისა, მეფისა და სამეფოს წინააღმდეგო". ხოლო ამას ზედ ერთოდა ერთი ახალი მოტივთაგანი. სახელდობრ: სათათბირო რუსულ სულს უნდა ატარებდესო. ე. ი. სათათბირო უნდა შესდგებოდეს იმპერიალისტ-შავრაზმელებისაგანო. ამ აზრით აკი გადასდგა კიდეც სტოლიპინის მთავრობამ საცდელი ნაბიჯი, და არარუსთა ამომჩეველი უფლება შეამცირეს საგრძნობლად. კავკასიის დეპუტატთა რიცხვი 29 დან 10-მდე დაიყვანეს, პოლონელებისა 37—14-მდე, ციმბირის 21—15-მდე. აი სტოლიპინის დაპირებული რეფორმები. ეს იყო ერთგვარი თავადაზნაურობის დიქტატურა, რომელმაც ძველი ბიუროკრატიის უძლურება თავისდა სასარგებლოდ გამოიყენა, და თავისი თავგზასულობა ჩაურთო პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას. არსებითად რეპრესიის რეფორმა მოხდა და ეს ყველაზე ძლიერ ათვალწუნებულ არარუსებს დაეტყოთ. ეს უკანასკნელნი, საზოგადო დევნასთან ეროვნულადაც იჩაგრებოდნენ, ისე რომ ცხოვრების სიმძაფრეს იგინი ორმაგად განიცდიდნენ. გამოცხადებული იყო ერთი და მთავარი დეკრეტი შესახებ ყველას გარუსებისა, და ამ დეკრეტს ხშირად თვით პროგრესიული და ხან მემარცხენე ელემენტებიც კი ასრულებდნენ. შეიძლება ეს მათდა შეუგნებლად ხდებოდა, მაგრამ ფაქტი კია, რომ არარუსებს სულ მცირე ჯგუფი ჰყავდა დამცველად რუსთა შორის. ეს ეროვნული დევნა ძველმა მთავრობამ სხვათა შორის ცხადჰყო 3 ივნისის კანონით 1907 წ.

რაც შეეხება მესამე სათათბიროს, ეს ხომ გუბერნატორთა პარლამენტი იყო, ანუ შავრაზმელთა კლუბი, რომელმაც უფრო მეტად გამოააშკარავა ძველი მთავრობის უძლურება და შინაგანი გახრწნილება. ამ მესამე სათათბიროს ბედი წილად დიდი როლი, რასაკვირველია თავისდა უნებურად. არსებითად იგი თითქმის არ განსხვავდებოდა წინამორბედთაგან, მაგრამ მისი გარემო კი სულ სხვა გვარი იყო. დღეგანდელმა დიდმა ომმა ახალ პირობებში ჩააყენა მთელი რუსეთი, და მეოთხე სათათბიროც მიტომ გამოვიდა „პირ-ნათელი" საზოგადოების წინაშე, დღეგანდელმა ომმა სასტიკი კანტროლი გაუკეთა რუსეთის აბსოლუტიზმის შავ მანქანას. და დაგვანახვა მთელი მისი სიძველე და უნიადაგობა. ომის გამართლება შეუშეუძლებელია. ომის იდეოლოგთა ფილოსოფია მიუღებელია თავისი შინაგანი დაუდეგრობით, მაგრამ ამ შემთხვევაში კი ამ დიდმა ბოროტებამ, უმიზნოდ შეჰქმნა სიკეთე. ჯერ ჯერობით ჩვენ არ გაგვაჩნდა სხვა რამ ძალა, რომ მოგვეტეხა ბრმა ავტორიტეტი ძველი მთავრობისა, და ხალხის აზეფების პოლიტიკურ-პოლიციური კარიერა, რუსეთის ისტორიას რომ ჰქმნიდნენ და სურათი ნათელ სახეს მიიღებს.

—„უაზეფობა შეუძლებელია"-ო, აი რა აზრი გამოიტანა მესაე სათათბირომ. და საპოლიციო შტაბებში დიდ ხალხს მოუყარეს თავი. თვით ჩვენი ამხანაგებიც კი, ჩვენთან ძმად გაფიცულნი, რომელნიც თითქმის უანგარო აღტაცებით კისრულობენ რევოლიუციონერთა წინა რაზმში დგომას, ვისაც ვენდობოდით თავდადებით და დაუზოგავად, ვინც ჩვენთან ერთად ციხის ცხოვრებასაც კი ეწეოდნენ, თვით ისინი, თურმე პოლიციის მიერ ყოფილან მოგზავნილნი, და „გაიძვერა მოყვარენი" ციხეშიც კი არ გვაჩუენებდნენ, და ჩვენ ფიქრს უდარაჯებდნენ ახაკვრულად და უსინიდისოდ. მაშ რომ შეჰქმნა ეს სასტიკი ატმოსფერა, რამ აღზარდა. ეს დიდი ბიწიერება, რამ დაუბნელა მათ გონიერება, თუ არ გორემიკინ სტოლიპინის დავხედ და ჭრელ პოლიტიკოსობამ? მხოლოდ IV სათათბიროს ხვდა წილად დიდი როლი, რასაკვირველია თავისდა უნებურად. არსებითად იგი თითქმის არ განსხვავდებოდა წინამორბედთაგან, მაგრამ მისი გარემო კი სულ სხვა გვარი იყო. დღეგანდელმა დიდმა ომმა ახალ პირობებში ჩააყენა მთელი რუსეთი, და მეოთხე სათათბიროც მიტომ გამოვიდა „პირ-ნათელი" საზოგადოების წინაშე, დღეგანდელმა ომმა სასტიკი კანტროლი გაუკეთა რუსეთის აბსოლუტიზმის შავ მანქანას. და დაგვანახვა მთელი მისი სიძველე და უნიადაგობა. ომის გამართლება შეუშეუძლებელია. ომის იდეოლოგთა ფილოსოფია მიუღებელია თავისი შინაგანი დაუდეგრობით, მაგრამ ამ შემთხვევაში კი ამ დიდმა ბოროტებამ, უმიზნოდ შეჰქმნა სიკეთე. ჯერ ჯერობით ჩვენ არ გაგვაჩნდა სხვა რამ ძალა, რომ მოგვეტეხა ბრმა ავტორიტეტი ძველი მთავრობისა, და ხალხის უმრავლესობისთვის დაგვენახვებინა მთელი მისი უნიადაგობა. ამ ომმა კი ფარდა ახადა რუსეთის სამეფო სახლის საიდუმლოებას, და გვაჩვენა რუსეთის ხალხის ბედის გადამწყვეტთა მთელი სიღატაკე. ახდა პასკალის თქმა, და საიდუმლოების გამომჟღავნებით, რასპუტინის მორჩილებმა იხილეს თავისი აღსასრული. ჩვენ ომამდე ვიცოდით მხოლოდ გარე მხარე რუსეთის იმპერიისა, როგორც ჟანდარმულ-პოლიციური. შინა მხარეზე კი ჩვენ მხოლოდ ვარაუდით ვფიქრობდით რამ ავს. ომის გართულების და მთავრობის დაუძლურების შემდეგ კი პირის-პირ და აშკარად ვიხილეთ რუსეთის მოქალაქეობრივ ცხოვრების უბედურება. ვნახეთ, რომ სასახლე ყოფილა ბუდე ავაზაკობის, ავზნიანობის და მრუშისა. გავიგეთ, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრება იქ ყოფილა მიჩნეული როგორც საღსარი რუსეთის „ფაშების" გალიზიანებულ მადის დასაკმაყოფილებლად ყველამ აშკარად დაინახა, თუ როგორი ორომ-ტრიალი და ვაკხანალია სუფევ და მეფის კარად, სადაც მსუნაგი სახლთ-უხუცესები, ვნებით და ღვინით დამთარალნი, გარყვნილ ხორცს ულოშნიდნენ ბრწყინვალე სეფე-ქალებს, და უნამუსობის საღერღელ აწლილი მისტიკოსები, სქესობრივ ენით ატაცებულნი, სხვათა-შორისად სჭიდნენ სახელმწიფო საკითხს.

და აი, სწორედ ამ უჭკუო პოლიტიკოსებმა ველარ შესძლეს წარმართვა გართულებულ ცხოვრების და წავიდნენ. მეფე, რომელიც ყველაფერს წარმოადგენდა, უცბად არა-რად იქცა, და აქამდე არარად მიჩნეული ხალხი სწრაფად გადიქცა ყოველივედ. როლები შეიცვალა, და ამ როლების შეცვლის პროცესს ჩვენ უწოდეთ **რევოლიუცია.** მაგრამ ეს სახელი საკვირველია, ეს ფერება მომხდარ ცვლილებას. ეს რევოლიუცია როდი იყო. იპ. ტენის თქმისა არ იყვეს, ეს იყო დაშლა მთავრობისა და არა მისი ძალით დამხობა. ამბოხება არ ქცეულა ხალხის სენად, პირიქით ხალხი მოუმზადებლად და მოულოდნელად შეხვდა ძველის მოსპობას. პეტერბურგის და მოსკოვის თითო ოროლა გაფიცვა მუშებისა, ნაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტია რევოლიუციისათვის. პატარ-პატარა აჯანყება ვერ შეჰქმნიდა რევოლიუციას, რომ მთავრობას თვით არ დაეკარგა თავლისმა—ავგაროზი და არ დაშლილიყო თავისით. ამას კი რევოლიუცია როდი ჰქვიან. რევოლიუცია არის მსხვრევა ძველ სახელმწიფო წყობილებისა, იგი არის მასსიური ფარაფა არსებულისა. დღეს კი ამას არ ჰქონდა დამობილი მთავარი ადგილი. დღეს ომმა თითქმის ყველა შეაერთა, „სამშობლოს საფრთხემ" შეაკავშირა თითქმის ყველა ელემენტები, და პატრიოტული ნარკოზი იქამდეც კი მივიდა, რომ თვით მემარცხენე ელემენტებმაც კი იმპერიალისტურ პოლიტიკის დადასტურება დაიწყეს. მემარცხენეთა ნაწილმაც ბანი მისცა ძველ მთავრობას, შესახებ „გერმანიის მილიტარიზმის" მოსპობისა. და ამისთვის ხალხს ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ მთავრობასთან ერთად. ჯერ მგონი ყველას ახსოვს მოწოდება სოციალისტების: გ. პლეხანოვისა, ლ. დეიჩისა, გ. ალექსინსკისა, ა. ბახის, ი. ბუნაკოვის, ნ. ავქსენტიევის და სხ.. რომელნიც ჰქადაგებდნენ აუცილებლობას გერმანიის დამარცხებისას, რადგან „გერმანია ჯერ არ მოსწიფებულა ისეც კი, რომ პარლამენტის რეჟიმს შეეგუოს, და ყოველად ძლიერი ვილჰელმი ბრძანებლობს ხალხზეო". თითქოს რუსეთში სუხომლინოვ-ჩეგლოვიტოვები კი არა, დემოკრატიული რესპუბლიკა ყოფილიყვეს იმ დროს. თითქოს ან იხგლისი, ან საფრანგეთი ან იტალია,—ეს სათნოების ქვეყნებია, და ზოგიერთმა ისეც კი ითავხედა, რომ კანტისა და კრუპის შორის ხიდი გასდეს. მორტირ-ზარბაზნების შემქმნელ კრუპპს სულიერი მამა აღმოუჩინეს, და ეს მამა იყო თურმე დიდი ბრძენი ემმანუელ კანტი, ის კანტი, რომელმაც ქრისტიანულ სათნოებას და ეთიკას ფილოსოფიური საფუძველი მოუძებნა. ეს მხოლოდ ზნეობრივი ვანდილობაა და გონებრივი ბოროტ მოქმედება. იმპერიალისტურ პატრიოტიზმ გაღვივებულნი ვერ ამჩნევდნენ, რომ მოწოდება მთავრობასთან ერთად საბრძოლველად, ეს იგივ მთავრობის რიგში ჩადგომა იყო იმ მილიტარიზმის დასადასტურებლად, რომლის წინააღმდეგაც თითქოს თვით მოუწოდებდნენ. იმპერიალისტი ყველა მილიტარისტია, და ძველი „მთავრობაც ამას იქით ვერც წავიდოდა და არც წავიდოდა. „მუშები, მანქანა-დაზგებთან-ო—ამას აცხადებდნენ ომამდეც, რადგან ჯერ გაფიცვის დრო არ არისო. ამასვე აცხადებდნენ ომის დროსაც, და ჰქმნიდნენ იმ პსიხოზს, რომელსაც ხმირად სასაცილოებამდე მიჰყავდა ყველა. პეტერბურგს სახელი შეუცვალეს—გერმანულიაო, და იმას ვერ ამჩნევდნენ ან არ ამჩნევდნენ, აუარებელი გერმანული სიტყვა რუსულ ენაში, რომელთ აკრძალვა ყოველად შეუძლებელია. აკრძალვა უნდოდათ ბეთჰოვენის და ვაგნერის მუსიკასაც—გერმანელები იყვნენო. ამ ბნელ და მცდარ აზრებს დიდი გასავალი ჰქონდა რუსეთის მასსიურ უმეცრებაში. დევნები დევნებზე გადმოდიოდა ასე ხდებოდა ყოველ ეროვნულ რუსეთში, ყველა ეროვანი სახელმწიფო მეძკრებლობითი დროშის ქვეშ იყოიდა თავი, და ასე ბევრ გამოუცდელ აზრს გაეთხარა სამარე. მაგ. ერთა მოსპობის იდეოლოგებს გაუცუდდათ აზრი. ყალბად გაგებულ ინტერნაციონალს დაეშალა საძირკველი, და საერთო შეგნებაში ძლიერ დაისვა ეროვნული საკითხი. თვით ომიც კი, ერთა განმათავისუფლებელ ომად გამოცხადდა. ეს ომი საუკეთესო ლაბორატორია გამოდგა, სადაც მოხდა კაცობრიობის ხელ-ახალი შემოწმება, და ბევრი რომ საგულისხმოც იქმნა აღმოჩენილი. და რადგან ასე იყო ხალხი მეთრეული ომის სტიქიონში, ამიტომ რუსეთში სარევოლიუციო ძალაც ვერ შედეგდა და რუსეთის გარდაქმნაც სასწაულსებრ ძოგვევლინა.

ვინტანგ კოტეტიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ზესტაფონი: ქალ-ვაჟთა გიმნაზიისაგან.

სენაკი: წ. კ. საზ. გამგეობისაგან.

ჭიათურა: ჭიათურის ვაჭარ-ხელოსნებისაგან.

ბორჯომი: ელ. ვარაზაშვილისა და სიმ. ბოჭორიშვილისაგან.

ახალთუმანი: სოც.-ფედ. ადგილობრივი ორგანიზაციისაგან.

ხონი: ეკატერინე, მათე, თამარ და არჩილ ბახტაძეებისაგან.

ხონი: წ. კ. საზ. გამგეობისაგან.

ქუთაისი: საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით თ-რე ჯაფარიძისაგან.

ცაგერი: კულტ. წრის თავმჯდომარის გელოვანისაგან.

ფოთი: ხაზინის მოსამსახურეთაგან.

წალენჯიხა: თანამოაზრეთაგან.

შორაპანი: თანამოაზრეთაგან.

სარიყამიში: სამხედრო რკ. გზაზე მომუშავეთაგან.

ბაქო: სიმ. კვიტაშვილისაგან.

ახტალა: ქართველობის მონდობილობით შტაბს-კაპიტან ეძგვერიძის და ჯარისკაც დიმ. სიმღაშვილისაგან.

—

წესი: ჩვენ, ქვემო-რაჭის სოციალ-ფედერალისტთა ჯგუფი ღრმად მწუხარენი ვართ ჩვენი მეგობრიალტრის და საუკეთესო ლიტერატორის კიტა აბაშიძის უდროოდ დაკარგვის გამო. გწამდეს მოძღვარო, არ უღალატებთ ჩვენც იმ იდეალს, რომელსაც ემსახურებოდი. ალ. ერისთავისა, მარ. ბაქრაძისა, ფილ. გოცირიძე, ვლად. ფოფხაძე, შამ. ერისთავი, თოფიშა ბაქრაძე, ვანო ჭიჭინაძე, მიხ. ჩიკვაიძე, ამბროსი ჯაჯანიძე. გურია ყიფიანი, დომ. კერესელიძე, ვლად. ბესელია, სერგ. კერესელიძე, ბეს. კერესელიძე, ვლად. ბიჭაშვილი, იოს. კერესელიძე, ნიკო კერესელიძე, ნიკ. წულაძე.

—

ქუთაისი. ჭიათურის სომეხთა საზოგადოება უერთებს თავის მწუხარებას მოძმე ერის მწუხარებას, რომელმაც დაჰკარგა საუკეთესო თავისი შვილი კიტა აბაშიძე.

საზოგადოების მონდობილობით

რაფაელოვი.

—

თიანეთი. ჯგუფი თიანეთის მაზრის მასწავლებელთა უერთდება საქართველოს მწუხარებას კიტას უდროოდ დაკარგვის გამო.

მასწავლებელთა ჯგუფი.

—

ცხინვალი. აღმასრულებელი კომიტეტი უცხადებს პარტიას თანაგრძნობას, აცხადებს ღრმა მწუხარებას კიტა აბაშიძის უდროოდ გარდაცვალების გამო. თ-რე **გოგუა.**

—

ჭიათურა. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა ბიურო ღრმა მწუხარებას აცხადებს ნიჭიერ საზოგადო მოღვაწის და პუბლიცისტის კიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო.

—

რაჭა. რაჭის ორგანიზაცია სოციალისტ-ფედერალისტებისა მუხლს იდრეკს ძვირფას კიტას ნეშთის წინაშე და უერთებს ხმას ქართველობის მწუხარებას.

სოციალისტ-ფედერალისტთა ბიურო.

—

ტფილისი. ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება უერთებს თავის ხმას ხალხის საერთო მწუხარებას, რომელმაც დაჰკარგა თავისი საუკეთესო და კეთილშობილი შვილი ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე.

თ-რე ეორდანია.

—

ხაშური, ვგლოვობთ სამშობლოსათვის მედგარ მებრძოლს კრიტიკოს-პუბლისტის კიტა აბაშიძის გარდაცვალებას. ამ გარდამავალ დროს მისი სიკვდილი ჩვენი მრავალ წამებული სამშობლოსათვის განუზომელი დანაკლისია.

ხაშურის ფოსტის მოხელენი.

—

ქუთაისი. ქუთაისის ქართველნი ისრაელნი აცხადებენ თავის ღრმა მწუხარებას საქართველოს კეთილშობილ მამულიშვილის და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის დაკარგვის გამო.

—

ვაი, რომ მეძნელება ამისი თქმა: ღ რა გვყავს ჩვენი კიტა, ჩვენი ტკბილაჯ ზოუბარი უფროსი ამხანაგი, ჩვენი ე ის გული და სული, ბარომეტრი მ სი შეეა-ეაებისა. ალარა გვყავს ის, ვინც შეეძლია თავისი ძალ ღონე ჩვენი მრავალ წამებული სამშობლოს გამოდ ვიძებს; ალ ადგა ჩვენი ერი, მაგრამ წაიქცა ის, ვინც შეჰნატროდა მის

ადგომას. ალსრულდა ჩვენი ბელადის ნატვრა, მაგრამ მას არ დასცალდა ამისი ხილვა. ამაშია მისი ტრაგიზმი. ალარა გვყავს ჩვენი კიტა, ვიდარ გავიგონებთ აწი მის ბასრივით მჭრელ სიტყვას... ვიგლოვოდ თანამოაზრენო ჩვენი ნიჭიერი ბელადის უდროოდ დაკარგვა. იგლოვე შენც ქართველო ერო, რამეთუ შენ დაჰკარგე შენთვის თავდადებული უერთგულესი შვილი, ნიჭიერი კრიტიკოსი-ლიტერატორი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

ჩვენ-კი, მის თანამოაზრეებს, უნდა გვახსოვდეს. რომ კიტას „იდეალის განხორციელება ჯერ კიდევ ბევრ შრომასა და ბრძოლას მოითხოვს. ამიტომ ჩვენი ვალია: გაათკეცებული ენერგიათ შეეცადოთ მისი მისწრაფების ადრე განხორციელებას.

ტ. **არომელაძე.**

კიტას

მის გარდაცვალების გამო.

ნეტარ არიან: ნატრულის იხილავენ და სიხარულით განუტევენ სულს.

—

ნეტარ არს სვიმონი: ეღირსა „აღთქმას“-მესიის მოსვლას: იხილა „მირქმა“ და სიხარულით მოხუცებული გარდაიცვალა.

ნეტარ არს ბულბული...—ვარდს, ეტრფის, ათბობს ცრემლითა, გულსა უხარებს თვის გალობითა და გაზაფხულსა, როს აყვავდება,—ზედაც დააკვდეს, არ ენადვლება.

—

ხოლო, შენ, კიტა!..

ვითა სვიმონი, „აღთქმის“ ტაძარში ჩაგრულთ ერისას ელოდა ვარსკვლავს, და ღაღადებდი ზე ადგენას...

ვითა ბულბული, ვარდსა,—დაძრულსა,—გულს უნდოდებდი, სულსა უთბობდი: მისთვის გაზაფხულს მოელოდი და აყვავებით განიხარებდი...

მაგრამ სიკვდილმა ალარ გაცალა, მკაცრმა უდროვომ, ულმობელმა...

—

ალარ დაგცალდა გეხილა ერის თავისუფლება. სიკვდილის შემდეგ არ ინაღვლიდი, როს წარსულთ მამათ და ჩვენსა არჩილს, არა გაგონილს, არამედ ხილულს თავისუფლებას იქ ახარებდი!..

ს. გლახაშვილი.

მოწერილი ამბები

ძ. თელავი. 21 ქრისტიშობისთვის თელ. შემნახველ-გამსესხებელ დარბაზში საზოგადოებას მრავალად მოეყარა თავი, უმთავრესად სოც.-ფედერალისტის სარეგ. პარტიის თელავის ორგანიზაციის წევრნი და თანაგრძნობნი, იყვნენ სხვა მიმართულებისაც ყველანი შეკრებილყვნენ არა საკამათოთ, ან რაიმე საკითხების გადასაწყვეტად, არამედ მოეგონებინათ და პატივი ეცათ სოც.-ფედერალისტის პარტიის ახალ დანაკლისის კიტა აბაშიძის ხსოვნისათვის.

ეს იყო სამოქალაქო პანაშვიდი კიტას ხსოვნის აღსანიშნავად, რომლის შესახებაც ეცნობებათ სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც.

სცენაზე ძაღებში და მწვანე ფოთლებში ამართული იყო კიტას დიდი სურათი ამ სალამოსთვის საგანგებოდ დახატული მხატვარ ვ. სიდამონოვ-ერისთავის მიერ.

საღამო მოკლე სიტყვით გახსნა დ. ქადაგიძემ. ხოლო შეასრულა სარეგოლიუციო ჰიმნი, რომელიც ფიხზე დგომით მოისმინა საზოგადოებამ. გ. ბურჭულაძემ გააცნო საზოგადოებას კიტას ბიოგრაფია და ვინაობა. შემდეგ თანაგრძნობის სიტყვაში წარმოსთქვეს წარმომადგენელთ სოც.-დემოკრატიის პარტიიდან ს. მაჭავარიანმა, ეროვნულ-დემოკრატებისა ვ. ცოცქაშვილმა და დაშნაკლებისა—გ. ტერარუთინოვმა. დასასრულ ვრცლად შეეხო კიტას მოღვაწეობას ჩვენ პარტიაში სვ. წერეთელი. გუნდმა ისევ ჰიმნი შეასრულა და გულდაწყვეტილი დავიშალენით ამხანაგები, რომ ამისთანა დროს დაგვაკლდა ისეთი თვალსაჩინო მუშაკი როგორიც იყო კიტა.

ამავე დღეს დილით აქაუ ვაჟთა გიმნაზიაში გარდაიხადეს პანაშვიდი კიტას სულის მოსახსენებლად.

ღია წერილი

პასუხი გიორგი შალიბაშვილის კითხვებზედ.

1. ხაშურის ორგანიზაციის გამგეობა სოციალ ფედერალისტთა სარეგოლიუციო პარტიისა არ ეთანხმება იმ დეპეშის შინაარსს, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „სახალხო ფურცლის“ და „ერთობის“ 17 მაისის ნომრებში, და რომელიც 14 მაისს სურამში გამართულ კრებას ხულიგნურ გამოსვლას უწოდებდა.

2. ხაშურის ორგანიზაციის მთელმა შემადგენლობამ დაგვიანებით გაიგო აღნიშნული დეპეშის შინაარსი და მისი გაგზავნის ისტორია.

3. გამგეობამ იცოდა, რომ თქვენ, ამხ. გიორგი სოც.-ფედერალისტთა პარტიაში მუშაობდით და გთვლიდათ იგი იდეიურ ამხანაგად.

ხაშურის ორგანიზაციის გამგეობა სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგოლიუციო პარტიისა.

ხაშურის ს.-ფედ. ორგანიზაციის ღია წერილის გამო

პასუხი გიორგი შალიბაშვილის კითხვებზე.

ვერ გამიგია თავდაპირველად, თუ რისთვის დასჭირდა გიორგი შალიბაშვილს დღეს სოც.-ფედ. ხაშურის ორგანიზაციაში რაღაც კითხვების შეტანა და არ ინება ეს ამ ოთხი-ხუთი თვის წინათ, როცა მე ხაშურ-სურამის რაიონში ვიყავი. მერმე მე არ მესმის კარგად თვით ორგანიზაციის გამოსვლა და აღიარება მის მიერ იმისა, რომ ორგანიზაცია დღეს „არ ეთანხმება იმ დეპეშის შინაარს, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „სახალხო ფურცლის“ და „ერთობის“ 17 მაისის ნომრებში და რომელიც 14 მაისს სურამში გამართულ კრებას (კრება რომ გამართული იყო ეს დღემდის არავის უთქვამს; დიდად საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ გამართა) ხულიგნურ გამოსვლას უწოდებდა“.

მე გახლდით სოც.-ფედ. ხაშურ-სურამის ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე და მასთან ერთად სურამის აღმასრულებელ კომიტეტისაც; ორგანიზაციას შეეძლო ეკითხა ჩემთვის, თუ რისთვის გავგზავნე შემოალნიშნული დეპეშა; სოც.-ფედ. პარტიის კომიტეტის წევრებთან მქონდა ამის შესახებ ბაასი... **დავანებოთ ამას** თავი; დავუშვათ, ორგანიზაცია, მართლაც, გვიან გაიგო აღნიშნულ დეპეშის შინაარსი და მისი გაგზავნის ისტორია, და მხოლოდ გიორგი შალიბაშვილის შეკითხვამ აიძულა იგი გაეგო სურამის ამბები და დეპეშის შინაარსი და ისტორია. ამ შემთხვევაში კი ორგანიზაცია ვალდებული იყო დამკითხებოდა და ჩემი განმარტება მოესმინა, შემდეგ კი, რა საკვირველია, თვისი დასკვნა გამოეტანა. არის ერთგვარი წესი, რომელიც სავალდებულოა ყველასთვის, მიუხედავად იმისა, თუ რა დროს განვიცდით ეხლა...

რაც შეეხება გიორგი შალიბაშვილის სოც.-ფედ. პარტიაში მუშაობას და იმას, რომ მას ხაშურის ორგანიზაცია იდეიურ ამხანაგად სთვლიდა, მე არას ვიტყვი... შესაძლებელია... მაგრამ მე მოვაგონებ ეხოლოდ ერთ ფაქტს, ბაასი, რომელიც მქონდა მე გიორგი შალიბაშვილთან ორ სოც.-ფედ. პარტიის ხაშურის კომიტეტის წევრთა თანადასწრებით. ამ ბაასს დაესწრო ერთი სოც.-რევოლიუციონერიც. ბაასის შინაარს ჯერ-ჯერობით არ შევეხები. დავასახელებ ჩვენს ამხანაგებს (კომიტეტის წევრებს), რომელთაც მოწმეებს ამ ბაასისას, და ორგანიზაცია მოელაპარაკოს მათ. ეს ამხანაგები გახლდნენ: კ. გაგუა და კ. ძნელაძე.

დასასრულ ჩემთვის საინტერესოა ვიცოდე, თუ რამოდენად დაკავშირებულია გ. შალიბაშვილი და 14 მაისის სურამში გამართული კრება, 14 მაისის გიორგი შალიბაშვილის მოქმედება და ჩემი დეპეშა.

ალ. მდივანი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ ამ წერილს.

სიჩხერის რაიონის სოციალისტ ფედერალისტთა ორგანიზაცია ულრმეს მადლობას უცხადებს ამხანაგს მიხაკო გიორგის ძე აბაშიძეს, რომელმაც სიჩხერის რაიონის სოციალ-ფედერალისტთა ორგანიზაციას შემოწირა ძვირფასი დროშა, ძვირფასი, როგორც თავის ღირებულობით, აგრეთვე იმ მნიშვნელობით, თუ რა წმინდათა წმიდას შეადგენს ორგანიზაციისთვის ეს განძი.

სიჩხერის რაიონის სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე **მიხეილ ნიკურაძე.**

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რუმუნებული მთავარ კომიტეტისა

22 დეკემბერს ქალაქის საგზურზედ დაკარგულ იქმნა 180 მან. ფული და საჭირო ქალალდები.

მპოვნელსა ვსთხოვთ, დააბრუნოს ქალალდები შემდეგ მისამართზედ: ნაძალადევი, ბრიგადირნის ქუჩა № 9.

ღია წერილი

30 დეკემბერს ტფილისში ტრამვაიზე დავკარგე ნამსახურობის ქალალდი, შესანახი ფულის წიგნაკი (**Вкладная книжка**), სახემწიფო ბანკში ფულის შეტანის კვიტანცია, ფული და სხვა საჭირო ქალალდები.

უმორჩილესად ვთხოვ მპოვნელს ქალალდები, როგორც მისთვის უსარგებლო, ხოლო ჩემთვის ფრიად სიმპირო, დამიბრუნოს ან თელავში საკრედიტო ამხანაგობაში ან ტფილისში ყაზბეგის ქუჩაზე, № 30, იმნაძის ბინაზე.

1479 **გრიგოლ ბურჭულაძე.**

ყიდება სახლი

ავლაბარში, ორსართულიანი 12 ოთახიანი სამზარეულოებით. სახლი ორ ქუჩაზე გადის. სახლი ისეთს ადგილას არის, რომ აგარაკის მაგივრობას გასწევს—ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების ახლო. სახლს. ბანკის ვალი აქვს. იკითხეთ ავლაბარში, მარტყოფის ქუჩა № 22, სახლის პატრონ ქალთან ეზოში. 4

ᲔᲥᲘᲛᲘ

ბ. მ. მუხაძე

იღებს სადისტანციო ავადმყოფებს დამის 5—6 ს.-ზე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საკეთილშობილო საზოგადოების შენობის პირველ სართ., სადაც სვეტ. ... 1047

ᲔᲥᲘᲛᲘ

პაპლე არდაზიანი

დაბარუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 2040

ᲔᲥᲘᲛᲘ

ს. ზ. მირზოევი

ᲨᲣᲠᲘᲡᲘ ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲝᲑᲘᲡ, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სარეგიონის ქ. № 1. ᲤᲝᲤᲝᲤᲐ 16—67.

ᲔᲥᲘᲛᲘ

ბ. ბ. [illegible]

[illegible] „ᲠᲝᲖᲐ“ [illegible] „ᲠᲝᲖᲐ“ [illegible] ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ [illegible] 3½ ს. [illegible] ᲛᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 68. [illegible] 10—11. 1097

ᲔᲥᲘᲛᲘ

დ. შარაშანიძე

იღებდეს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ᲮᲐᲕᲚᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 7. 2130

ᲔᲥᲘᲛᲘ

თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროვის ქ. 18, ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ № 11—82.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ [illegible] ᲥᲘᲠᲘᲚᲔ [illegible]

ᲥᲐᲚᲜᲐᲜᲯᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

[illegible]

ᲔᲥᲘᲛᲘ

დ. ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, ᲥᲣᲩᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ საღამოს 5—7 საათამდე, ᲒᲣᲜᲘᲑᲘᲡ ᲥᲣᲩ. № 41. ᲢᲔᲚᲔᲤ. 14—09.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ე. Ლ. ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

[illegible] ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ [illegible] ᲓᲦᲔ [illegible] 5—7 Ს. [illegible] ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 7.

ᲘᲠᲘᲜᲐ ᲙᲑᲘᲚᲘᲫᲔ

ᲜᲘᲜᲝ ᲠᲝᲖᲘᲚᲐᲫᲔ

[illegible] 9—3 [illegible] 6—7 [illegible] ᲥᲣᲩᲐ, 14, [illegible] ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, 21.

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲚᲘᲐ ᲓᲔ ᲨᲐᲕᲚᲔᲕᲘᲩᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩისა № 28/31. 151

ᲔᲥᲘᲛᲘ

Მ. ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲫᲔ

[illegible] ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ [illegible] ᲓᲦᲔ [illegible] 5—7 [illegible] ᲥᲣᲩᲐ. [illegible] 6—7 [illegible] ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 7.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Მ. ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲫᲔ

[illegible] ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ [illegible] ᲓᲦᲔ [illegible] 5—7 [illegible] ᲥᲣᲩᲐ. [illegible] 6—7 [illegible] ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 7.

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲜᲐᲖᲐ

ᲒᲣᲚᲘᲡᲐ, ᲤᲘᲚᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲮᲕᲔᲚ

ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ. 5—7 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐᲛᲓᲔ, ᲧᲝᲕ. [illegible] ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ. ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 7, ᲕᲝᲠᲝᲜᲪ. ᲫᲘᲒᲚ. ᲐᲮᲚᲝᲠᲛ, „ᲑᲝ-ᲛᲝᲜᲓᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ. 105

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ვ. ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ᲒᲝᲠᲑᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 6.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(ᲓᲐᲐᲠᲡᲣᲚᲘᲐ 1880 ᲬᲚᲘᲡ)

[illegible] ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ [illegible]

ᲐᲕᲢᲝᲢᲔᲮᲘᲐᲜᲘ—ᲙᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ 11½ ს.

1 მან.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲑᲣᲭᲚᲐᲚᲢᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

(ᲒᲣᲜᲔᲚᲐᲢᲘᲠ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲐ)

ორივე სქესისათვის. ყოველი მსმენელი გაივლის სპეციალურ [illegible] ᲙᲣᲠᲡᲘ. სწავლა ყოველ დღე. პირობის გაგება შეიძლება პირადად [illegible] 12-დან 2 ს. და საღამოთი 4-დან 6 საათ. ახლად ჩაწერილებისათვის სწავლა დაიწყება 10 იანვრიდან. მისამართი: ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9. (წყნეთის ქუჩ. ახლოს, 1-ლი სამილ. ნაწილი). 1451

ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1918 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲯᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ, ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

1918 წელს განზრახულია გამოიცეს ორთვეში ერთხელ ჟურნალის ფასი წლიურად 10 მანეთია, სოფლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს ჟურნალი დაეთმობათ 7 მანეთად ფულის გამოგზავნა შეიძლება ნაწილ-ნაწილადა: ნახევარი ამ თავით და ნახევარიც ივნისში.

ტფილისში ხელისმოწერა მიიღება ქ. ზ. წერაკითხვის გამავრც. საზ. წიგნის მაღაზიაში და ქართულ გიმნაზიაში, აგრეთვე კანტორა „განათლებაში“ ოლგის ქ. № 6.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე. 2271

„ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ“-Ს

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ:

ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲕ.—„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ“ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲢᲝᲛᲘ . 6 Მ.
ᲦᲚᲝᲜᲢᲘ Თ. „ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ“ Წ. I . 4 „
ᲒᲠᲓᲔᲛᲚᲘ Წ. I . 3 „
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ . 2 „
ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ „ . 2 „
ᲨᲘᲣᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ—„ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ“ . — 60 „
ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ—„ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲔ“ . 1 „ 20 „
ᲤᲘᲠᲪᲮᲚᲐᲕᲐ Ს. „ᲡᲐᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ . — 40 „
ᲦᲚᲝᲜᲢᲘ Თ. ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲐᲙᲘ—„ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘ“ . — 50

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲤᲝᲡᲢᲘᲗ, ᲠᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲧᲝᲜᲔᲑᲚᲘᲗ ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐᲗ 20 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ. ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ—ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ“.

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲑᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
№ 14

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠ ᲡᲐᲡᲢᲐᲛᲑᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ, ᲘᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ